

ი უ და ი ზ მ ი

უძველესი მონოთეისტური რელიგიის სახელწოდება „იუდაიზმი“ გაჩნდა მოგვიანებით, მისი ფესვები ორათასწლეულის მიღმა ბიბლიურ წიგნებშია საძიებელი.

ტერმინი „იუდაიზმი“ მომდინარეობს იუდას (იეჰუდა) ტომის სახელწოდებიდან, რომელიც ბენიამინის ტომთან ერთად ძვ.წ. 722წ. კატასტროფას გადაურჩა - აშურის მეფემ ებრაელთა სამეფო დაიპყრო და ხალხი აშურიის სხვადასხვა ქალაქში გადაასახლა. ებრაელმა ხალხმა ერთი ტომის - იუდას სახით განაგრძო. აქედან მოდის ებრაელთა სახელწოდება - იუდეველი, რომელიც ნიშნავს ეროვნებასაც და აღმსარებლობასაც. იუდაიზმი ეფუძნება თორას (მოსეს რჯული ან ხუთწიგნეული), აგიდასა (ლეგენდები ბიბლიურ პერსონაჟებზე, იგავეები და შეგონებები) და ჰალახას - ავტორიტარულ ნორმატულ დებულებებზე.

ჩაწერილმა აგადამ და ჰალახამ შეადგინეს თალმუდის (თალმუდი-„მოდვრება“, თორის კომენტარები) ერთი ნაწილი.

იუდაიზმის მრწამსია: არსებობს სამყაროს შემქმნელი ღმერთი, რომელიც ერთია, უსხეულო, უხილავი, მარადიული; ღმერთი ხედავს თითოეულ ადამიანის ფიქრებს; ყველა ადამიანის ლოცვა უშუალოდ მისკენ აღვალს, იგი სახელით ცნობს თითოეულ ადამიანს; ღმერთი სწყალობთ კეთილთ და სჯით უკეთურთ; არსებობს უკანასკნელი სამსჯავრო; მოვა მესია და მკვდრები აღდგებიან.

საქართველოს ისტორიაში აღნიშნულია რამდენიმე ტალღა ებრაელთა ემიგრაციისა საქართველოში: 1) ბაბილონის მეფის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ (ძვ.წ. 586წ.), ებრაელები მცხეთის გარეუბანში დასახლდნენ; 2) ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის დარბევის შემდეგ (ძვ.წ. 70წ.); 3) ერთი ნაკადი საქართველოში ბარ-კოხბას აჯანყების დამარცხების შემდეგ ჩამოსულა - ძვ. წ. 169წ. მე-4 საუკუნესი ებრაელები მცხეთის გარდა ბოდბეშიც გხვდებიან. მე-6 ს. ბიზანტიიდან გადმოსახლებულნი ჯერ დასავლეთ, შემდეგ კი- აღმოსავლეთ

საქართველოში დასახლდნენ. მე-10 ს. ხაზართა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ხაზარი ებრაელის ერთი ნაწილი აქ დასახლდა. მე-19ს. დამდეგს თურქეთიდან არამიელი ებრაელები (ლახლუხები) შემოსულან, ხოლო ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) საქართველოსი პირველად 1804წ. გამოჩნდნენ.

26 საუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ შექმნა ქართული ებრაელთა ფენომენი: იგი სიმბოლურად ორი ერის შვილია - ქართულ მიწას ამუშავებს, ქართულად მეტყველებს და იმავე დროს მტკიცედ იცავს იუდაური ცხოვრების წესს. ებრაული ენა განაგრძობდა არსებობას სწავლულ რაბინთა შორის.

დღესდღეობით საქართველოში დაახლოვებით 3 ათასამდე ებრაელი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი სეფარადები, დანარჩენი კი ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) არიან. სინაგოგები მოქმედებს თბილისში, გორში, ბათუმში, ონში, ახალციხესა და სურამში. ებრაელთა რაოდენობა თანდათან კლებულობს.

ებრაელური ორგანიზაციები გამოსცემენ გაზეთ-ჟურნალებს - „ნაბიჯი თორისაკენ“. მოქმედებენ ებრაელური ორგანიზაციები: „სოხნუთი“, მსოფლიო ქალთა ორგანიზაცია „ემუნა“-ს ფილიალი, საგანმანათლებლო ცენტრი „თიფერით ცვი“.